

# უჯარმის კომპლექსს უტარდება

# ციხე - ქადაქის რესტავრაცია



**უჯარმის ციხე-ქადაქის კომპლექსზე ფართომასშტაბიანი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე გათვადისწინებული სამუშაოების თითქმის მთლიანი გეგმა უკვე შესრულებულია.**

კომპლექსი განმედიდრია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნაყარი მიწის ფენისაგან. ასევე, სამუშაოები მიმდინარეობს ციტადელის ტერიტორიაზე. პროექტი ითვალისწინებს მისი ცადვეური არქიტექტურული სეგმენტების კონსერვაციასა და ინფრასტრუქტურული კვანძების მოწყობასაც.

ციხე-ქადაქის ციტადელზე ვიზიტორებისთვის მოაჯირები და გადასახედებია დამონტაჟებული. სამუშაოების პროცესში, მიწის სქერი ფენის მოშორების შემდეგ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი კურტურული ფენები. მარნის, წყლის ავზისა და საცხოვრებელი დანიშნულების ოთახები.

მასშტაბური სამუშაოები ძეგრზე საქართველოს კურტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. პროექტის სამუშაო ვერსია სამწლიანია. პირველადი სამუშაოებისთვის დახარჯულია ნახევარი მილიონი ლარი.



ციხე - ქადაქის სარესტავრაციო - საკონსერვაციო პროექტი საშუალოვადიანია და ის სავარაუდოდ, 2022 წლისთვის დასრულდება.

კომპრექსზე ფიზიკურ სამუშაოებს შპს „ისტორიულ ძეგლთა რეაბილიტაციის ცენტრი“ ახორციელებს.

უჯარმა ისტორიული ცნობების მიხედვით III-IV საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა და იმ დროისთვის ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. უჯარმის ციხის აღმშენებლობა და განვითარება ძირითადად მეფე ვახტანგ გორგასაღის სახელთანაა დაკავშირებული. არქიტექტურული კომპრექსი რთულ რელიეფზე 3 ჰა. ფართობზეა გაშენებული. ის ორი ძირითადი ნაწილისგან – ციტადელისა (ზედა ანუ დედაციხე) და ქვედა ციხისაგან შედგება. ციტადელი მეფეთა სასახლეს, ჯვარპატოსნის სახელობის კარის მცირე ეკლესიას, მარანსა და წყარსაცავს აერთიანებს და ოთხკუთხა მასიური კედლების მქონე გარავნითაა შემოსაზღვრული. გარავნის კედლებზე სიმეტრიური დაშორებითაა განთავსებული სწორკუთხა კოშკები. ციხე-ქადაქი ძლიერ დაზიანებული სახითაა შემორჩენილი. ქვედა ციხეს თითქმის თავდაპირველი, აუთენტური იერსახე აქვს შენარჩუნებული.

